საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1069

08/11/2019

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ქ. ყვარლის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ყვარლის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ქ. ყვარლის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 105 (31.10.2019წ.);
2. შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N105 (31.10.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი